საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა-სარევოლიუციო პარტია

№ 296 1918 წ. პარასკევი. აგვისტოს 2 № 296

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკლეს უკრაინის გერმანელთა-ხეთაგელ ფელდ-მარშალი ეიჰჰორნი. ბაქოსთან დიდი ბრძოლაა: მდგომარეობა კრიტიკულია. კერძო ცნობებით შაუმიანი და ეკათერინოდარ დაუჭერიათ.

ნარიმან კონსტანტინეს ძე, ლიზა ალექსის ასული, მელიკო, ალიოშა და მათიკო გუნცაძეები გულათადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველთა შვილი და მეორეთა ძვირფასი და

დარიკო ნარიმანის ასული გუნცაძისა.

გამოსვენება პარასკევს, დილის 10 საათზე. დ. ბელაგორი საკ. სახლი. 875

საქართველოს **რესპუბლიკის** მხედრობის მომარაგების უფროსის სამმართველოს საინტენდანტო ნაწილი ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის აგვისტოს 6, სამშაბათს, დღის 12 საათზე, ზემოხსენებულ ნაწილის სადგომში (ნიკოლოზის ქუჩა, № 51) დანიშნულია სიტყვიერი და დაბეჭდილ კონვერტებით საჯარო ვაჭრობა ქ. ტფილისის გარნიზონისთვის სახაზინო ფქვილიდან დღეში დაახლოვებით 300—400 ფუთი პურის გამოცხობაზე. ვისაც ჰსურს ცხობა იკისროს, საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს წერილობითი განცხადება თავისი პირობებით. ვინც მხოლოდ სიტყვიერ ვაჭრობაში მიიღებს მონაწილეობას, იმანაც ამის შესახებ წერილობითი განცხადება უნდა შემოიტანოს. განცხადებას თან უნდა ერთოდ შესაფერი მოწმობა იმის შესახებ, რომ მოვაჭრეს აქვს რიგზე დაყენებული პურის საცხობი, მოეპოვება ამ საქმისათვის საჭირო ავეჯეულობა და ან რამდენი ფუთი პურის გამოცხობა შეუძლიან დღე-ღამეში; ამას გარდა უნდა წარმოდგენილ იქმნას ბედ 3000 მანეთი განცხადებას ზედ მანეთიანი ღერბის მარკა უნდა ეკრას. 1264

საჯარო **შეჯიბრება.** ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 1918 წლის აგვისტოს 5-ს გამგეობის თანადასწრებით გაიმართება **საჯარო შეჯიბრება.**

საფაიტონო „ბლიახების“ 5800 ცალის დამზადების წინადადებებში. ცნობების მიღება შეიძლება გამგეობის მე 4 განყოფილების კანცელარიაში.

2263 გამგეობის წევრი **დავიდოვი.**

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვეზისა

მიხეილის პრ., **№ 3**, ახლო, საკუთ., ახლად შეკეთ. კაპიტალური სახამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

1918 წ. დღეს, და 2-ს, ხვალ აგვისტოს 3-ს გაიმართება

გასტროლიორები

ახალი არტისტებისა. მონაწილეობს მთელი დასი. დღეს პირველად ტფილისში გასტროლი ცნობილ პეტერბურგელ-მოსკოველ ხოროსი. გამგე ანდრენკო და იზვეკოვი. დღეს ცირკში მოსკოური ცეკვა-თამაშია. გასტროლი ვირტუოზის და გარმონისტთა მეფის ილიუშა იზვეკოვისა და მრავალი სხვ. დასაწყისი 8 ს. დასასრული 11 საათზე.

816 გამგე **პ. ელიზაროვი.**

ანონსი ხვალ, აგვისტოს 4-ს დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა.

ტფილისი, აგვისტოს 2

დემობილიზაციის ლიკვიდაცია.

რუსეთის რევოლიუციამ იმპერიალისტურ წყობილების დემობილიზაცია გამოიწვია. საქართველოში პირველად ეს გამოიხატა ფრონტის დანგრევაში, რომელმაც მილიტარულ წყობილების შეფერხება გამოიწვია დროებით: ამ ჟამად დემობილიზაცია ხდება დაწესებულებათა და პირთა, რომელნიც სრულიად აღარ შეეფერებიან რესპუბლიკის ინტერესებს. ეს აქტი დემობილიზაციისა უკანასკნელი აქტია ლიკვიდაციისა, რამდენადმე ესეც იწვევს ერთნაირ შეხლა-შემოხლას, უწესოებას, ანარქიას, მაგრამ რამდენადაც დემობილიზაციის სრული ლიკვიდაცია საჭიროდ მოხდება, იმდენადვე ექსცესებს თავს დავაღწევთ და ორგანიული მუშაობა გაჩაღდება.

სამართლის ყველა დარგის ძალთა დემობილიზაციას დიდი სახელმწიფოებრივი საალმშენებლო ხასიათი აქვს, ეს აქტი იწვევს საქართველოს ეთნიურ მთლიანობის აღდგენას, თვით ქართველ ხალხის საქართველოს ტერიტორიაზე დაგროვებას და ამ რიგად საქართველოს სახელმწიფოს უჩნდება ის ცოცხალი ძლიერი ძალა, რომელსაც სახელმწიფოებრივი ერი ეწოდება. ერთი ტერიტორია, ერთი ერი, ერთი ენა — აი საითკენ მივყევართ დემობილიზაციის დაჩქარებას.

ამ სახელმწიფოებრივ ფაქტორებს თანა სდევს წმინდა საორგანიზაციო მხარეც. რუსეთის წყობილება ემყარებოდა თავის საკუთარ ძალას, შავ ძალას შავი მიზნებისათვის. ყველასათვის აშკარაა, რომ ასეთი არც ძალა სჭირია საქართველოს დემოკრატიას, არც მიზანი და არც შრომის საშუალება. ამიტომ ელემენტარულია, როცა ამ ძალთა დემობილიზაციას ვახდენთ და ახალ წყობილებისათვის [illegible] ტერიტორიის დემობილიზაცია ისევე საჭიროა, როგორც დანგრევა ფეოდალურ ნაშთებისა და როგორც უკანასკნელი, ისე პირველი დიდი რევოლიუციონური აქტები. სწორედ აქ არის საქართველოს რევოლიუციის სიმაგრე ვინაიდან რევოლიუციამ როგორც ძირითადი ფაქტორები შესცვალა, ისე შესცვალა ცხოვრების ყოველი ზედნაშენი.

დემობილიზაციის ლიკვიდაცია სამოქალაქო ცხოვრებაში თავისთავად გამოიწვევს მშვიდობიანობას, ანარქია მოისპობა, [illegible] ნაძირალები, [illegible] ბელობას ასაზრდოებენ დღემდე. ამ მხრივ მთავრობის გაბედული ნაბიჯი გაბედული საორგანიზაციო მუშაობაა ახალ ტიპის სახელმწიფოებრივ.

მაგრამ არ შეგვიძლიან რ შევნიშნოთ, რომ ამავე დროს ვხედავთ ამ საქმეში მთავრობის დიდ სიფრთხილეს და ხშირად ნელ ნაბიჯსაც. უეჭველია ამ პოლიტიკასაც აქვს თავისი სიმართლე. ყველამ უწყის, რომ ძმამავალ საქართველოში დიდი უშაობა იქნება გაჩაღებული. რკინ., გზების შენება, ჭაობების დაშრობა, სარწყავ წყალის გაყვანა, მდინარეთა კალაპოტის გამაგრება, გადასახლები, პოლიტიკა, შენობების აგება, კეთილმოწყობა, თეთრ ნახშირის ექსპლოატაცია, მთისა და ქვეადაგის გამოყენება იმდენ სპეციალურ ძალას მოითხოვს, რომ ახალგაზრდა რესპუბლიკას, სადაც ჯერ ერთი საშუალო და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელიც არ არის, საკუთარი საშუალებებით გაუჭირდება და ბუნებრივია რომ ასეთ ძალებს სხვა ერიდანაც დაეხმარს. ამიტომ მთავრობის გონიერება და სიფრთხილ, ლ თუ თვალსაჩინოა დღეს, ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიფრთხილე სპეციალისტების, ტექნიკოსების სტატისტიკოსების, მოანგარიშეების, ექიმების და სხ. ასეთ ძალების პატივისცემით უნდა გამოიხატოს და არას [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული

ბული რაზმი გამრავლდეს 2500 კაცამდე, იგი მოითხოვს მის გაძლიერებას. რად, რა მიზეზის გამო ამის საბუთები მთავრობას არ მოჰყავს? რა მოჰხდა? თითქოს ისეთი არაფერი, რომ საჭირო იყოს რაზმის გაძლიერება. თითქოს ჩვენ ტაფაზე ავიღეთ, საქართველოს სახელმწიფოებრივ საზღვრების გადალახვასაც ვეპირებით, და დუშეთში აჯანყებული ტრები სასტიკად დავამარცხეთ და დაგიმორჩილეთ, თითქოს ისე ძლიერნიც ვართ, რომ მეზობელ ადერბეიჯანს და სომხეთს ულტიმატუმებს უგზავნით და მზად ვართ ეს ულტიმატუმებიც შევასრულოთ. ამავე დროს მოლაპარაკება გვაქვს თერგის ოლქის მთავრობასთან. და თუ ამ რიგად წესიერება ყველგან დამყარებულია, რაღა საჭირ ება მოითხოვს რაზმის გაძლიერებას? ჩვენ საბუთებს გვთხოვთ, თვით კი არავითარ საბუთებით არ გვიმტკიცებთ რაზმის გაძლიერების საჭიროებას.

თქვენ როცა მოისურვებთ და როცა გინდათ, მაშინ ძალიან ადვილია შექმნა რეგულიარ ჯარისა. საბუთი? საბუთი თქვენ ხელშია ყოველთვის. რომ ბრძანდეთ: რაბძია შექმნა საჭიროა. იმიტომ, რომ ამ ჭიქაში წყალი ასხიაო. ასეთი საბუთი საბუთად გაგიგვათ იმიტომ, რომ საბუთები თქვენ ხელთ არის. საწყალი ოპოზიციის საბუთები აბა რა საბუთებია?!

ირ. წერეთელი (სოც.-დემ.) მე ძალიან დიდმნიშვნელობას ვაძლევ იმ პოლიტიკურ საბუთებს, რომელთაც აქ ჩვენი ოპოზიცია წამოაყენებს. მაგრამ იმ საბუთების გასაგებად, იმისთვის, რომ გაიგოთ მოპიროდაპირის აზრი, უნდა შეიტყოთ, როგორია მისი გამოსავალი აზრი. თქვენ მეძარჯვენე ოპოზიცი ბრძანდებით. გიხდათ ჩვენს რესპუბლიკაში წესიერება დამყაროთ. და თუ წესიერება გსურთ, მაშინ ყველა თქვენი აქ გამოსვლა გაუგებარია. თქვენ ბრმები ხართ, არც ბავშვები ბრძანდებით, როცა კითხულობთ, რა მოჰხდა ისეთი, რომ საჭიროება შეიქმნა მფრინავ და განსაკუთრებულ რაზმის დაარსებისაო. რა ჰხდება და მუდმივი აჯანყება საელმწიფოს წინააღმდეგ. ჩვენი ნორჩი სახელმწიფო აბობოქრებულ ზღვას დამსგავსა. ყოველდღე აჯანყება და ამბოხება. დღეს, ეხლანდელი დრო ჩვენი ქვეყნისთვის საგანგებო, არაჩვეულებრივი დღეა. და ამისთანა დროს თქვენ წესიერებას ვერ დაამყარებთ, თუ სახელმწიფო თავის შინაგან პოლიტიკას ჩვეულებრივ ზომებით აწარმოებს. არაჩვეულებრივ დროს საჭიროა განსაკუთრებული ზომები. ამას მოითხოვს ის სახელმწიფოებრივი პრინციპი, რომელიც ჩვენ ოპოზიციას ძალიან უყვარს საბუთად. ოპოზიცია კი ამ დროს გვეუბნება— ნუ იხმართ საგანგებო ზომებს. კონსტიტუციური გარანტიები დაიცავით, საგანგებო ზომები მოსპეთ.

ახალი თუ ძველი სიტყვა?

ყოველი ახალი სიტყვა—მთელი ჯგუფის მიერ იქმნება წარმოთქმული, თუ ვერ ორ პიროვნებისაგან ყოველთვის ნაწვევს საზოგადოებაში ჩუმს, მაგრამ სასტიკ კრიტ კას. მკითხველი თუ მსმენელი საზოგადოება ასე ადვილად ვერ შეურიგდება იმგვარ მოვლენას, რომელიც ეწინააღმდეგება მთელ მის ზრახვათა და მისწრაფებას,—ვერ შეურიგდება ისეთ სიტყვას, რომელიც ერთგვარ რევოლიუციას ახდენს მთელს მის მსოფლმხედველობაში,—უტყუარ და ჭეშმარიტად მიჩნეულ მცნებას აქარწყლებს, ანიავებს. მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს ფაქტი, ეს მოვლენა ლიტერატურაში, პოეზიაში.

ჰაუპტმანის დრამა „დაძირული ზარი" პირველად რომ დასდგეს სცენაზე, ისეთი სკანდალით დასრულდა, რომ მთელი აუდიტორია უზარმაზარ თეატრისა ერთმანეთს დაერია: მუშა-კაპიტალისტს ეცა, კრიტიკოსი-მწერალს, მოწაფე-მასწავლებელს და ჩხუბითა და ცემა-ტყეპით დამთავრდა ამ ახალ მწერლის ახალი სიტყვა, მოხდა ეს, რადგან ჰაუპტმანსა გადალახა ყოველდღიური, ჩვეულებრივი საზღვრები, ახალი და გაუგებარი ენით დაუწყო ლაპარაკი საზოგადოებას და ამ უცხო სიტყვით უკუაგდო იმდროინდელ საზოგადოების სალიტერატურო ტრადიციები, უკუაგდო ის შეხედულებანი და მცნებანი რომელიც გამეფებული იყო იმდროინდელ ლიტერატურაში.

ნათქვამია: ახალი სიტყვის მთქმელს, ახალი გზის მაძიებელს საზოგადოება ვერ აფასებს, ვერ ითვისებს ჯეროვანად.

არის ერთ დიდი ფრაზეოლოგია, როცა კაცი ფრაზას იტყვის, მაგრამ იმ ფრაზის შინაარსი არარაობაა და კონსტიტუციური გარანტიები მეღალნდება მაშინ, როცა აჯანყება ხდება. თუ გესმით ეს, მაშინ ჩენ აღარ გვესმის თქვენი არგუმენტი, ესიერების დასამყარებლად რომ მოგყავთ. საერთოდ ყველა თქვენი წინადადება ლოგიკური უკუღმართობაა.

როდესაც ლაპარაკობენ— რევოლიუციონური ფრაზეოლოგია მოსპეთო, ეს არის მარტო ფრაზეოლოგია, ლიტონი ფრაზი, სიტყვა, შინაარს მოკლებული. ლიტონი ფრაზაა იმიტომ, რომ ამით წესი არ დამყარდება, და ჩვენი ოპოზიცია, რომელიც წესიერებაზე ლაპარაკობს და მუდამ წესიერების შემომღებ ზომებს ეწინააღმდეგება, არის ნამდვილად უწესოების პარტია. უწესოების პარტიაა იმიტომ, რომ ის წესი, რომელსაც ჩვენ ვამყარებთ, არის და იქნება დემოკრატიული წესი, რომელიც თქვენთვის სასურველი არ არის. თუ გავატარებთ ჩვენ აგრარულ რეფორმას, ეს მოხდება დემოკრატიული წესით, კანონის ძალით. ამის წინააღმდეგი კი უწესოება იქნება.

ბატონო რევაზ გაბაშვილო! რასაც დღეს თქვენ ბრძანებთ შეიძლება ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ავასრულოთ, მაგრამ ძაინც თქვენ გაძოხვალთ და ჩვენი წინააღმდეგნი იქნებით. თუ წესიერებას დავამყარებთ, თქვენ, წესიერების მოტრფიალენო, გამოხვალთ და წინააღმდეგ ილაპარაკებთ.

რად? იმიტომ, რომ თქვენი მიზანია დაირღვეს დემოკრატიული წესი. თქვენ დემაგოგია გძულთ,—მაგრამ მას ყოველთვის ხმარობთ.

თქვენ ამბობთ: დიდებულ საბუთებს ვადგეხთ, მაგრამ არც მთავრობა და არც სოციალდემოკრატიული პარტია საბუთებს არ გვისმენენო.

თქვენგან საყვარელმა ილია ჭავჭავაძემ ერთხელ თავის მოწინააღმდეგეებს უთხრა: თქვენი ბაბაც რაჩუნობს, ჩვენსას ოქროსაც ფასი არა აქვსო. გაიხსენეთ ჩვენი საბუთებიც. ჩვენ ვამბობთ: არსად არ ყოფილა შემთხვევა, რომ უწესოება და ანარქია ჩაეკროთ არასაგანგებო ზომებით. მეორე საბუთი. თუ რეგულიარული ჯარი დღემდე ვერ შესდგა, ეს ანარქიის ბრალია.—აი დღეს ჩვენ ვნახეთ გამოსავალი—საგანგებო მფრინავ რაზმის დაარსება. გრძნობთ თუ არა, რომ თუ ეს რაზმი ჩაიშალა, თუ წითელმა გვარდიამ ვერ შესძლო წესიერების დამყარება, რეგულიარული ჯარი ვერ შეიქმნება, ვერ იქნება შესაძლებელი მისი გაწვრთნა.

ყოველ პოლიტიკურ მიმართულების პატივისცემა არის საჭირო. პატივისცემა უნდა აგრეთვე ჩვენ ოპოზიციას, მაგრამ მათ მოეთხოვებათ პირდაპირობა, მათ მოურიდებლივ უნდა სთქვან, რაც ფიქრად და სათქმელად აქვთ. აი მაშინ იქნებიან ჩვენი მოპირდაპირენი პატივისცემის ღირსნი. თქვენ დემოკრატიული წესის წინაღმდეგნი ხართ, ბრძანეთ პირდაპირ, გახდით რევოლიუციონერები ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ ისევე, როგორც ჩვენ პირდაპირ და რევოლიუციონურად ვებრძოდით მონარქიას, ჩვენ მოიურიდებლივ ვეუბნებოდით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან: ეს წესი, რომელიც თქვენ გაქვთ, ეს ზომები, რომელსაც თქვენ იღებთ, ყოველ ანარქიაზე უარესიაო. აი თქვენც ასე ბრძანეთ.

გვარდია მოშალეთო, გვეუბნებით. მაშინ ბავშვები ხომ არა ხართ, არ იცოდეთ, ამას რა მოჰყვება? ანარქია და თუ ანარქია გსურთ ნაცვლად წესიერებისა, ბრძანეთ ამკარად, პირდაპირ. მაშინ ბრძანეთ, რომ თქვენი რევოლიუციონური ფრაზელოგია არის მხოლოდ სიტყვებიო.

რა ღვაწლი და საპასუხური მიგიძღვით თქვენ ქვეყნის წინაშე? სხვა ბურჟუაზიამ ევროპაში ეკონომიურ სფეროში გააერთა ძალა და შერე პოლიტიკური პრივილეგიების მოთხოვნილება წამოაყენეს. თქვენმა ბურჟუაზიამ და თქვენ რა გაიკეთეთ? მე მოგაგონებთ ქართულ ანდაზას: კუმ ფეხი ჯამოყო, მეც ნახირ-ნახირო. რა ვოგვეცა. რაღაც თხუთმეტიოდე კაცი, რომელიც ყველაფრის წინააღმდეგ ილაშქრებს, აწუნებს რევოლიუციონურ ფრაზოლ[illegible] და ულამაზო სიტყვებით გვისაყვ[illegible] [illegible]მაზ სიტყვებს ხარჯავთო.

ა. ლომთათიძე. წინა[illegible] და, წინააღმდეგნი ვართ [illegible] დებისაო. მე წინააღმდეგ[illegible] ვარ და იემ[illegible] ბრრით კოსისა ითხოვს კანონპროექტი უცვლელად მიიოოთ.

ეროვნული საბჭო მუხლობრივად იღებს წარმოდგენილ კანონპროექტს და შემდეგ გადადის საფაბრიკო ინსპექციის გაუქმების კანონპროექტის განხილვაზე. მომხსენებელია **ბადრიძე** (სოც. დემ.). ამ კანონპროექტის გარშემო სწარმოებს კამათი, რომელშიაც მონაწილეობენ: **გრ. ვეშაპიძე** (ნაც. დემ.), რომელიც აღნიშნავს, რომ შრომის სამინისტრო არ უნდა იცავდეს რომელიმე კლასის ინტერესს, არამედ სახელმწიფო ადვოკატობა უნდა დაისახოს მიზნად და თავის დანიშნულებადო, **ია. ლორთქიფანიძე** და **ერარ[illegible]** (შრომის მინისტრის ამხანაგი).

მორიგი საკითხის—პინიტენციარ მთავრობისადმი ეროვნულ საბჭოს გარეშე ძალა-უფლებისა გასაუქმებლად ან და ძირითად გადაკეთებისათვის იმ დაწესებულებათა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან რუსეთთან [illegible] კასიასთან ან და ამიერკავკასიასთან, ამ საკითხის გამო მომხსენებელია **იოსებ ბარათაშვილი** (სოც. ფედ.) იგი მოკლედ აღნიშნავს, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა შეიცავს ორ აზრს. პირველი აზრი ისაა, რომ მთავრობას მიეცეს ნება თავის ძალა-უფლებით გააუქმოს ზოგიერთი დაწესებულება, რომელნიც სასწრაფოდ გასაუქმებელნი არიან და კანონმდებლობითი გზით მათი ლიკვიდაცია დიდ დროს მოითხოვს, რაც საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისთვის მავნებელი იქნებაო ხოლო მეორე აზრი ისაა, რომ მთავრობას უფლება ჰქონდეს მოახდინოს არსებულ დაწესებულებათა რეორგანიზაცია, უკე თუ მთავრობა მათ არსებობას საჭიროდ აღიარებს ჩვენი სახელმწიფოსთვის, მხოლოდ ეს რეორგანიზაცია უნდა მოჰხდეს რესპუბლიკის ინტერესების თანახმად. ამ კანონპროექტს,—განაგრძნობს მომხსენებელი,—აქვს ორი მხარე: ფორმალური და არსებითი. ფორმალური მხარე ისაა, თუ რამდენად სასურველია ასეთ კანონპროექტის ჩვენი პარლამენტისაგან მიღება, რადგან ამ პროექტენდენტს შემდეგს ჩვენს პარლამენტარულ ცხოვრებაში მოჰყვეს არა სასურველი შედეგი. კომისიამ ამ საგანზე იქონია მსჯელობა და არასასურველად სცნო ასეთ პროექტენდენტის შექმნა. მაგრამ თქვენ წინაშე წარმოდგენილ კანონპროექტს აქვს აგრედვე მეორე არსებითი—მხარე. სასწრაფოა ძალიან გაუქმება ბევრ ჩვენში არსებულ დაწესებულებებისა. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესი და მისი მომავლის განმტკიცება საიურიდიო კომისიამ, მიჯერ რა ეს მხედველობაში, დაადგინა მიეღოს ეს კანონპროექტი და მთავრობას ნება დაერთოს არსებულ დაწესებულებათა გაუქმება—რეორგანიზაციისა.

წარმოდგენილ კანონპროექტის გარშემო იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობენ: **გრ. ვეშაპიძე** (ნაც. დემ.; იგი ორჯერ ლაპარაკობს), **რ. არსენიძე** (სოც.-დემ.), რომელიც მომხსენებლის სიტყვას უფრო ვრცლად განმარტავს და შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი**. იგი ამბობს: მე მომხრე ვიქნებოდი კამათისა და კანონპროექტის ხელმეორედ კომისიაში გადაცემისა, რომ დაუსრულებელი ლაპარაკი ხელს უწყობდეს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. ნამდვილად კი საეჭვო დაწესებულებათა ლიკვიდაცია ძალიან სასწრაფოა და ამიტომ უნდა დეთანხმოთ მთავრობას, რომ დაჩქარებით მოჰხდეს მოსპობა იმ დაწესებულებათა, რომელნიც სრულიად არ შეეფერებიან არსებულ წესწყობილებას და პირ-იქით არსებითად ეწინააღმდეგებიან მას. და თუ ამ თვალსაზრისიდან გაუოხვალთ, მაშინ წარმოდგენილი პროექტი კანონისა მისაღები არის.

აქ საბჭოს წევრმა ბ-ნმა ვეშაპიძემ ცილი დასწამა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, მათ აღმაძრულებელ კოტეტს. მე უნდა განვაცხადო, რომ თქვენი რწმენიდან [illegible] ხდება რაიმე [illegible] [illegible] სთვის [illegible] ბიეს არ [illegible] სცოდნია, რა პირობით იყო [illegible] კავკასიის კომისარიატის დროს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსგან გამოგზავნილი ოცდაათი მილიონი მანეთი. ეს ფული უნდა მოჰხმარებოდა იმ დაწესებულებათა ლიკვიდაციას, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ ომთან და ფრონტთან. უნდა ყოფილიყო, რაკ „სოვნარკომი" ამიერკავკასიის კომისარიატს არ ენდობოდა, განსაკუთრებულ კომიტეტი შემდგარი სხვა და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან. ამ კომისიას ჯერ თავისი მუშაობა, რამდენადაც ვიცით, არ დაუსრულებია და რა დაათავებს ალბად შესაფერ ახსნა-განმარტებას მისცემს ჩვენს პარლამენტს შესახებ თავის მუშაობისა. ლიკვიდაციასა და ამ ფულებს შორის კავშირი არ არსებობს და თუ დაინტერესებულნი ვართ საჩქაროდ მოჰხდეს ლიკვიდაცია იმ დაწესებულებათა, რომელნიც რუსეთთან, კავკასიასთან და ამიერკავკასიასთან არია ხსაერთონი, უნდა ჩვენ გადაჭრილი უარისყოფით შევხვდეთ იმ გამოსვლას, რომელიც აგაუგებრობის ბურუსს ჰქმნის.

ვეშაპიძე. ლაპარაკობს მესამედ ამას ეწინააღმდეგება **არსენიძე.** რომელიც აღნიშნავს ვეშაპიძისაგან რეგლამენტის დარღვევას და ერთ-ერთ მუხლის ყალბად გამოყენებას: რეგლამენტის ძალით მას უფლება აქვს ერთ და იმავე საკითხზე ორჯელ ილაპარაკოს, მან კი სამჯერ ილაპარაკაო, ის მუხლი, რომელიც ძახ დაიმოწმა, თითქოს მას უფლება ჰქონდეს მინისტრის გამოსვლის შემდეგ პასუხის მიცემისა, ბ-ნმა ვეშაპიძემ ყალბად გამოიყენაო.

თავაჯ. ექვ. თაყაიშვილი. თუ ამ რეგლამენტის დარღვევაა, ეს შეინიშნეს უნდა მეკუთვნოდეს მე და არა ვეშაპიძეს, რადგან რეგლამენტი მე დავარღვიე რაკი უფლება მივეცი მესამედ ლაპარაკისა.

იოსებ ბარათაშვილი. წარმოდგენილ კანონპროექტის წინააღმდეგ ბ-ნს ვეშაპიძეს არა უთქვამსრა. მომხსენებელი კ მოვალე არ არის გასცეს პასუხი ი კითხვებზე, რომელნიც კანონპროექტშ არ შედიან და არც არიან აღძრულნი. მე მაინც ვიტყვი, რომ ვეშაპიძის აზრ ამ კანონპროექტის მიღებით ჩვენ ვაკ ნონებთ რუსეთის ძირითად კანონთა 8 მუხლს, მაოთალი არ არის; შემცდარი ეს აზრი იმიტომ, რომ რუსეთის მთავ ობა სცემდა კანონებს, როცა მა ძოეპრიანებოდა სახელმწიფო სათათბ როს გარეშე და უცნობლად. აქ კი წარ მოდგენილი კანონპროექტით მთავრობა ნება ეძლევა ზედმეტ და საეჭვო დაწე

ცნობილი რუსი კრიტიკოსი ივანოვ-რაზუმნიკი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რუსულ ლიტერატურის განვითარებას, თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში ხედავს მხოლოდ ამ ორ მიმართულებათა არსებობას. ივანოვ-რაზუმნიკი სწერს: „რეალიზმი და რომანტიზმი წარსულში, რეალიზმი და ნეოროომანტიზმი აწმყოში—აი ორი მთავარი სალიტერატურო მიმართულება, რომელიც არსებობდა წარსულში და არსებობს დღეს და რომელთა შორის ბრძოლა სწარმოებდა და კვლავ სწარმოებსო. სიმბოლიზმი როგორც სალიტერატურო მიმართულება არ არსებობს. ეს მხოლოდ ერთი დარგი, ერთი მხარე გახლავთ რომანტიზმისა.

სოლოვიოვი და ტიუტჩევი წარსულში, ბალმონტი, ბრიუსოვი, ივანოვი „და ბლოკი აწმყოშიო"..

და მართლაც თუ ღრმად ჩაუკვირდებით და ყოველ მხრივ განიხილავთ ამ საკითხს, დარწმუნდებით, რომ ორი მთავარი მიმართულება არსებობს, რომელიც საზღვრავს მსოფლიო ლიტერატურის მიმართულებათა არსებობას, ბრძოლას. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ყველა ერის ლიტერატურისა ამ საუკეთესო დამახასიათებელია, დამ[illegible] დასტურებელი. სიმბოლიზმი ლიტ[illegible] [illegible]ტურაში ეს მხოლოდ ერთი, თუ [illegible] [illegible]ბავთ, მნიშვნელოვანი დარგია, მხარე [illegible] [illegible] რომანტიზმისა,—საშუალება იმ ზრახვათა [illegible] მისწრაფებათა გამოსახატავად [illegible] [illegible]საცემად რომელიც სინამდვილ[illegible] [illegible]ურებს სცილდება, მარადისობ[illegible] ძებნით [illegible] [illegible] [illegible]

ებულებათა გაუქმება გარდაქმნისა. ამ კანონპროექტით პარლამენტი უკვე განსაზღვრავს მთავრობის კომპენტეციის სფეროს, უჩვენებს რა შინაარს კანონისას და გეზს მისი მოქმედებისას. მთავრობას მხოლოდ ევალება გახსნას რკალები. ასე რომ 87 მუხლის მოყვანა უადგილოა. აქ არავითარი დარღვევა არ არის ჩვენის კანონმდებლობის უფლებისა და საიურიდიო კომისია მოითხოვს მიღებულ იქმნას კანონპროექტი.

შემდეგი და უკანასკნელი საკითხია კამათი ვეშაპიძესგან შეტანილ შეკითხვის გამო საჩხერის ამბების თაობაზე. შემკითხველი ვეშაპიძე მიუთითებს რა რეგლამენტის იმ მუხლზე, რომ მთავრობა მოვალეა ერთ კვირაზე გასცეს პასუხი შეკითხვაზე, მოითხოვს ეხლავე იყოს მოსმენილი მთავრობის პასუხი.

ირ. წერეთელი. ამ მუხლით ეროვნულ საბჭოს არ ევალება შეკითხვები უეჭველად ერთი კვირის განმავლობაში მოისმინოს. ამიტომ მოვითხოვთ ეს საკითხი შემდეგ სხდომისთვის გადავიტანოთ.

ამით ამოწურულია დღის წესრიგი და სხდომაც სრულდება დღის ოთხის ნახევარზე

ბრძოლა ბაკოსთან

ბაქო. 30. (დაჭერილია ტფილისის რადიო-სადგურის მიერ) ბაქოს მდგომარეობა კრიტიკულია, ბრძოლა სწარმოებს ბაქოსთან 20 ვერსის მანძილზე. გადარ... ს იმედი არაა. ფლოტილიამ გადასცა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ...ახოვთან მოლაპარაკება გვგონია ...ლად დამთავრდა. მცხოვრებნი ინ...ელების მოსვლას სიხარულით მიე...ბიან, ფლიტილიაც, ეტყობა, არ ...ევს წინააღმდეგობას, დაე ინგლი... შტაბმა უთხრას ცენტრალურ კომი...ატს, რომ იგი მისდა ნება დაურთველადაც გადავა ალიატსა ან სალიანში; ფლოტის ტერიტორიაზე.

ბაქო. 6—30. 15 საათი და 15 წ. ჯარის ყველა ნაწილის კომისრებს და უფროსებს. ბაქოს მდგომარეობა კრიტიკულია. ქალაქის გადასარჩენად ძალა-უფლება კასპიის ფლოტის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაიგდო ხელთ. გამოცხადებულია ოთხი პირის დროებითი დიქტატურა. მოგვაშველეთ ჯარი. დაეხმარეთ ბაქოს გარნიზონს. ბიჩერახოვი ინიშნება კავკასიის და ამიერკავკასიის ყველა სამხედრო ძალების მთავარ-სარდლად.

კერძო ცნობებით ბაქოში საბჭოთა მთავრობა ჩამოუგდიათ აჯანყებულ რუსის ჯარის-კაცებსა და ყაზახებს, რომელნიც უმუშევრობისა გამო საშინელ სიმშილს განიცდიდნენ, ხოლო წითელ არმიაში ჩაწერა კი არ უნდოდათ. მათ გაჰმართეს დიდი მიტინგი და როდესაც საბჭოთა მთავრობამ სროლა აუტეხა ისინი აჯანყდნენ. მათ მიემხრენ ოუშ-

---

მარტო დეკლარაციების გამოცემა, არამედ ღვთიური შემოქმედება. ეს კი ჯერ თქვენ ვერ შექმენით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ-სამ ლექს გაფრიხდაშვილისას და იაშვილისას.

წარსულში ჩვენი ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულში ჩვენი პოეზია გაცილებით უფრო ძლიერი და რთული იყო, თავისი მიმართულებით—რომანტიზმით—თვისი ორიგინალობით და თითქმის არავითარი გავლენა უცხო ლიტერატურისა არ ემჩნევოდა. განსაკუთრებით ეს ითქმის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. ეს აო ითქმის გაფრიხდაშვილისა და იაშვილის შემოქმედების შესახებ, რომელთა ნაწარმოებს თვალსაჩინო გავლენა ეტყობა თანამედროვე რუს მგოსნების შემოქმედებისა, პოეზიისა.

რეალიზმი და ნეორომანტიზმი, რომლის გარშემო ტრიალებს ჩვენი თანამედროვე პოეზია, ლიტერატურა.

არც პირველი და არც მეორე მიმართულება არ აოის სათანადოთ ჩვენ ლიტერატურაში გაშუქებული, აღნუსხული. ორივე მიმართულებას ჰყავს თავისი წარმომადგენელი, მაგრამ ვერც ერთ მათგანმა ვერ შეჰქმნა ძლიერი, დამთავრებული, დასრულებული ნაწარმოები. ა. ჭუმბაძე, ხ. ლორთქიფანიძე, კ. ბარნოვი ბელეტრისტიკაში, ი. გრიშაშვილი, ა. შანშიაშვილი, აბაშელი, გამსახურდია, გაფრინდაშვილი, იაშვილი—პოეზიაში და ი. გედევანიშვილი, ნ. შიუკაშვილი და სხვ. დრამატიულ ხელოვნებაში. აი ის მწერალნი და მგოსანნი, რომელნიც მართლაც ახალ გზის ძიებაში არიან, ახალი სიტყვის თქმა სწადიათ. მომავალი გვაჩვენებს თუ რა გზით წავა ჩვენი ლიტერატურა, რა სახეს მიიღებს იგი. ჯერ-კი გადაჭრითი აზრის გამოთქმა შეუძლებლად მიგვაჩნია.

ახალ სიტყვას, ახალი გზის ძიებას ...ლიტერატურაში ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით შევეგებებით. ხოლო ეს სიტყვა გვინდა ჭეშმარიტად ახალი იყოს არა ძველი.

კ. აბაშიძე.

ბი და მეზღვაურებიც. როგორც ამბობენ, ბიჩერახოვს დაუპატიმრებია შაუმიანი და ჯაფარიძე.

ომის დეკეფეები

ბერლინი. 7—30 დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. გაძლიერებული იერიშებია მერრისთან, ლისის ჩრდილოეთით და ვიიტტეს ორთავე მხარეს, არრასის სამხრეთით. იერიშები არტილერიით მოვიგერიეთ.

გერმანელ კრონპრინცის არმია. მოწინააღმდეგემ ძლიერი იერიში მოიტანა მდ. ურკის ჩრდილოეთით, რეიმსის სამხრეთ-დასავლეთის ტყეებში ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები მოგერიებულ იქმნენ მთელ ფრონტზე და ძლიერ დაზარალდნენ. მოპირდაპირის იერიშის მიზანი იყო ხარტენე და ფერან-ტარდენუა. აქ მოპირდაპირე აწარმოებდა ძლიერ წრეებით იერიშს შუადღისას. მოპირდაპირის იერიშები მოგერიებულ იქმნა. ნაშუადღევის შემდეგ მოპირდაპირემ გადაიტანა თავისი იერიშები ფერ-ენ-ტარდენუას აღმოსავლეთით, თითქმის მენიერის ტყესთან. აქაც მოპირდაპირე ვერაფერს გაჰხდა.

რეიმსის სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირემ გაიმეორა თავისი იერიშები შაბრესისა და ვრინის შუა. იერიშები თითქმის ხუთჯერ გაიმეორა. იერიშები გაგრძელდა ღამემდე. ყველგან მოპირდაპირე უკუქცეულ იქმნა ძლიერ დაზარალებული. შამპანში ჩვენ გავრეკეთ მოპირდაპირე ფიხტელბერგის სამხრეთით თხრილებიდან, რომელნიც მოპირდაპირემ დაიკრა პერტის ჩრდილოეთ-დასავლეთით.

ლეიტენანტმა ლოვენგარდტმა საჰაერო ბრძოლაში ორმოცდა ძეექვსეჯერ გაიმარჯვა.

ვენა. 7—30. ალბანიის ფრონტზე მოპირდაპირემ ძლიერი იერიშები მოჰქოსდა ძალიერილოვეს კალთებთან. ყველა იერიში მოვიგერიეთ.

ბერლინი. 7—30. ნიუ-იორკიდან მოსულ ცნობების მიხედვით 18—26 ივლისამდე ამერიკელებმა დაჰკარგეს 52,769 ეკიპაჟი.

ბერლინი. 7—31. ივლისის საბოლოო უწყება. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში გაცხარებული საზვეოავი მოქმედება სწარმოებს. მერრის მხრივ განასლებულ იერიშის დროს მტერმა ძალიერს აღნიშნულ ადგილის გამაგრება. ლენერტის ჩრდილოეთითა და სომის სამხრეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა დანარჩენ ფრონტზე დღე მშვიდობიანად ჩაიარა.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ძთავარ საბრძ ნაწილზე ხარტენესა და ფერ-ენ ტარდენუას აღმოსავლეთით მტრის ...ეია ჯარი დამარცხების შემდეგ გუშინ ...ია მოქმედებდა. ფერ-ენ-ტარდენუასა და მენიერის ტყის ახოთ ფრანგები და ამერიკელები ხშირის მწყობრობის გვიტევდნენ მაგრამ დიდის დანაკლისით უკუ ვაქციეთ.

ჩვენმა ...ითა ჯარმა შეუტია დამარცხებულ მტერს და მის პოზიციების დიდი ნაწილი დაიკავა. ფერ-ენ-ტარდენუას აღმოსავლეთით მთელ დამის განმავლობაში მტერს უშედეგო იერიშები მოჰქონდა და ძლიერაც დაზიანდა.

უშედეგოდვე ჩაიარა მათმა იერიშებმა ლასსიგნთან. უკანასკნელ დღეებში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 4000 ტყვე. ტყვეთა საერთო რაოდენობა 24,000ს ძიაღწია. გუშინ მტრის 19 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

ლეიტენანტმა ლოვენგარდტმა 48-ჯერ გაიმარჯვა საჰაერო ბრძოლაში, ხოლო ლეიტენანტმა ბოდლემ 27-ჯერ.

ანტანტის ფრონტი.

სტამბული. დღე-ღამის განმავლობაში უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენმა პატრულებმა რამოდენიმე ტყვე იგდეს ხელთ. ივლისის 29 ჩოვაგდეთ 1 ინგლისელთა აეროპლანი ეკიპაჟით, რომელიც შესდგებოდა 2 ოფიცრისაგან ტყვედ ჩაგვივარდა. დანარჩენ ფრონტზე მდგომაოეობა უცვლელია.

...ალიის ფრონტი.

ვენა. ივლისის 31. სანტო-როსსოს ოლქში ...ენმა შემტევმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 2 ტყვე. ვენეციის ფრონტზე გაშმაგებული საჰაერო ბრძოლა სწარმოებს

...ბანეთის ფრონტი.

ჩვენ ...ერ შევიწროვებულმა მტერმა დღეს დღით ზოგიერთი მოწინავე პოზიციები დასტოვა

პარიზი. ივლისის 31. მთელ ფრონტზე დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ სასტიკი ...ართილერიო სროლა სწარმოებდა. ...ონტ-დიდერიესა და უაზის შუა გერმანელთა შეტევამ შედეგს ვერ მიაღწია

ომის ფრონტი

ბერლინი. 7—30 დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. გაძლიერებული იერიშებია მერრისთან, ლისის ჩრდილოეთით და ვიიტტეს ორთავე მხარეს, არრასის სამხრეთით. იერიშები არტილერიით მოვიგერიეთ.

გერმანელ კრონპრინცის არმია. მოწინააღმდეგემ ძლიერი იერიში მოიტანა მდ. ურკის ჩრდილოეთით, რეიმსის სამხრეთ-დასავლეთის ტყეებში ფრანგები, ინგლისელები და ამერიკელები მოგერიებულ იქმნენ მთელ ფრონტზე და ძლიერ დაზარალდნენ. მოპირდაპირის იერიშის მიზანი იყო ხარტენე და ფერან-ტარდენუა. აქ მოპირდაპირე აწარმოებდა ძლიერ წრეებით იერიშს შუადღისას. მოპირდაპირის იერიშები მოგერიებულ იქმნა. ნაშუადღევის შემდეგ მოპირდაპირემ გადაიტანა თავისი იერიშები ფერ-ენ-ტარდენუას აღმოსავლეთით, თითქმის მენიერის ტყესთან. აქაც მოპირდაპირე ვერაფერს გაჰხდა.

რეიმსის სამხრეთ-დასავლეთით მოპირდაპირემ გაიმეორა თავისი იერიშები შაბრესისა და ვრინის შუა. იერიშები თითქმის ხუთჯერ გაიმეორა. იერიშები გაგრძელდა ღამემდე. ყველგან მოპირდაპირე უკუქცეულ იქმნა ძლიერ დაზარალებული. შამპანში ჩვენ გავრეკეთ მოპირდაპირე ფიხტელბერგის სამხრეთით თხრილებიდან, რომელნიც მოპირდაპირემ დაიკრა პერტის ჩრდილოეთ-დასავლეთით.

ლეიტენანტმა ლოვენგარდტმა საჰაერო ბრძოლაში ორმოცდა ძეექვსეჯერ გაიმარჯვა.

ვენა. 7—30. ალბანიის ფრონტზე მოპირდაპირემ ძლიერი იერიშები მოჰქოსდა ძალიერილოვეს კალთებთან. ყველა იერიში მოვიგერიეთ.

ბერლინი. 7—30. ნიუ-იორკიდან მოსულ ცნობების მიხედვით 18—26 ივლისამდე ამერიკელებმა დაჰკარგეს 52,769 ეკიპაჟი.

ბერლინი. 7—31. ივლისის საბოლოო უწყება. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში გაცხარებული საზვეოავი მოქმედება სწარმოებს. მერრის მხრივ განასლებულ იერიშის დროს მტერმა ძალიერს აღნიშნულ ადგილის გამაგრება. ლენერტის ჩრდილოეთითა და სომის სამხრეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა დანარჩენ ფრონტზე დღე მშვიდობიანად ჩაიარა.

გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. ძთავარ საბრძ ნაწილზე ხარტენესა და ფერ-ენ ტარდენუას აღმოსავლეთით მტრის ...ეია ჯარი დამარცხების შემდეგ გუშინ ...ია მოქმედებდა. ფერ-ენ-ტარდენუასა და მენიერის ტყის ახოთ ფრანგები და ამერიკელები ხშირის მწყობრობის გვიტევდნენ მაგრამ დიდის დანაკლისით უკუ ვაქციეთ.

ჩვენმა ...ითა ჯარმა შეუტია დამარცხებულ მტერს და მის პოზიციების დიდი ნაწილი დაიკავა. ფერ-ენ-ტარდენუას აღმოსავლეთით მთელ დამის განმავლობაში მტერს უშედეგო იერიშები მოჰქონდა და ძლიერაც დაზიანდა.

უშედეგოდვე ჩაიარა მათმა იერიშებმა ლასსიგნთან. უკანასკნელ დღეებში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 4000 ტყვე. ტყვეთა საერთო რაოდენობა 24,000ს ძიაღწია. გუშინ მტრის 19 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

ლეიტენანტმა ლოვენგარდტმა 48-ჯერ გაიმარჯვა საჰაერო ბრძოლაში, ხოლო ლეიტენანტმა ბოდლემ 27-ჯერ.

ანტანტის ფრონტი.

სტამბული. დღე-ღამის განმავლობაში უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენმა პატრულებმა რამოდენიმე ტყვე იგდეს ხელთ. ივლისის 29 ჩოვაგდეთ 1 ინგლისელთა აეროპლანი ეკიპაჟით, რომელიც შესდგებოდა 2 ოფიცრისაგან ტყვედ ჩაგვივარდა. დანარჩენ ფრონტზე მდგომაოეობა უცვლელია

...ალიის ფრონტი.

ვენა. ივლისის 31. სანტო-როსსოს ოლქში ...ენმა შემტევმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 2 ტყვე. ვენეციის ფრონტზე გაშმაგებული საჰაერო ბრძოლა სწარმოებს

...ბანეთის ფრონტი.

ჩვენ ...ერ შევიწროვებულმა მტერმა დღეს დღით ზოგიერთი მოწინავე პოზიციები დასტოვა

პარიზი. ივლისის 31. მთელ ფრონტზე დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ სასტიკი ...ართილერიო სროლა სწარმოებდა. ...ონტ-დიდერიესა და უაზის შუა გერმანელთა შეტევამ შედეგს ვერ მიაღწია

საღამო ლორნეტში

ისევ დაისი—მარადიულ ლალის ჩირაღით,
ისევ ლანდების წყალვარდნილი უმეორები,
ისევ ხარბ თვალებს ეტვირთება სხვა ბაირაღი,
ვით დედოფალი საოცნებო თეთრი ზმორებით.
მე არ შევხედავ ძვირფას ქვებით კაზმულ რაინდებს,
მხოლოდ დაისის ამორძალებს ვენადირები
კვლავ ჩემი ცქერა წამწამებში კოცონს დაინთებს
და ვარდისფერნი დამთალხავენ მე შათირები.
თეთრ კარუსელზე ტრიალებენ ოფელიები,
აქედან ვუცქერ მიუწდომელ სათუთ ფერიებს,
მწვანე წუთები მაწამებენ ცხელებ-ციებით,
სანამ თვით ღამე გფუ დაისებს მოიგერიებს.
მაგრამ ჯერ კიდევ ოფელიებს არ ეთრთოლებათ,
ცის კარუსელზე აჩქარებენ ჭიქის მერანებს,
არავინ უნდათ აღიარონ თავის ტოლებათ,
მაგრამ წყვდიადი მთელ ჩვენებას გაავერანებს!
ლურჯად იმსხვრევა კარუსელი ქაიანური,
გედურ კივილით ცვივდებიან წყალში ასულნი,
ავი ყბაყურა, პაგანინი და ჭიანური,
სადაც ტალღები ამაყობენ ფერგადასულნი.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

საჰაერო ბრძოლაში ივლისის 30 ჩვენ ჩამოვაგდეთ ან დავაზიანეთ 19-მდე გერმანელთა ჰაეროპლანი

სტამბული. 7—30 პალესტინის ფრონტი. გასულ დღე-ღამეში მნიშვნელოვანი არა მომხდარა-რა.

ერთი ჰაეროპლანი მოპირდაპირისა ჩამოვაგდეთ. მისი ეკიპაჟი, კაპიტანი და ობერ ლეიტენატი ტყვედ ვიგდეთ. ჩვენმა საჰაერო ესკადრილიამ კალატ-ანეზეს დასავლეთით მოპირდაპირეს ყუმბარები დაუშინა. მესოპოტამიის ფრონტი. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ინგლისელთა ბანაკს ყუმბარები დაუშინეს.

ფელდმარშალ ეიჰგორნის მოკვლა

ბერლინი. 7—30. უკრაინაში გერმანიის საოკუპაციო ჯარის მთავარსარდალი ფელდმარშალი ეიჰგორნი შეთქმულების მსხვერპლი გაჰხდა. როდესაც ფელდმარშალი ეიჰგორნი თავის პირად ადიუტანტ კაპიტან ფონ დესელერით ივლისის 30-ს ნაშუადღევის 2 საათზე კაზინოდან შინ ბრუნდებოდა—მას დროეკიდან ...ეროლეს ყუმბარა, რომლითაც ის და მისი ადიუტანტი ძმიმედ დასჭრეს. ეიჰგორნი და ადიუტანტი იმ დღესვე გარდაიცვალნენ. შეთქმულება მოწყობილია მოსკოვის ეს-ერებისაგან, რომელთა უკან დგას სამთა შეთანხმება. მკვლელი, ვინმე ბორის დონეკო, 22 წლისა, დაიჭირეს. იგი გამოტყდა, რომ იგი წევრია მოსკოვის ეს-ერების ორგანიზაციისა. ცენტრალური კომიტეტმა დამავალა ფელდმარშალ ეიჰგორნის მოკვლა და საამისოდ მაძლევდა ყველა იარაღს და ფულსაო.

უცხოეთი

ბერლინი, 7—30. გუშინ საღამოს გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ოსმალეთის ელჩი ხაკკი-ფაშა უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მან დიდი მუშაობა გასწია გერმანიაოსმალეთის მეგობრობის განმტკიცებისათვის და ბრესტლიტოვსკის კონფერენციაზე ოსმალეთის წარმომადგენელი იყო.

ახალი ამბავი

ახალი კურსები. დღეს აგვისტოს 2-ს ვაჟთა პირველ გიმნაზიაში იხსნება მთავრობის კურსები სახალხო მასწავლებელთათვის.

საგუბერნიო კომისარის თანაშემწე მოსენკო თანამდებობიდან განათავისუფლეს, მის მაგივრად ქ. კალანდარაშვილი დაინიშნა.

ტფილისის მაზრის კომისრად დაინიშნა გომართელი.

დუშეთის მაზრის კომისრად დაინიშნა ლანდია, ადგილიდან დათხოვნილ დუმბაძის მაგივრად.

ადგილზე დანიშვნა. ქალ. თვითმართველობის დადგენილებით მილიციის უფროსის თანაშემწეს ადგილზე დანიშნული აპ. ურუშაძე: მას ევალება მილიციის უფროსის, თანამდებობა შეასრულოს. აპ. ურუშაძე პეტროგრადის ქალ. საბჭოს ხმოსნად იყო აბორჩეული და რევოლიუციის პირველ ხანებში იქმნა მილიციის უფროსად იყო.

ყარაიაზში პურის შესყიდვის რწმუნებულად დაინიშნა გორიხი.

მკვლელობა. ივლისის 31-ს, ავჭალის ქუჩაზე მოკლეს ქართულ კლუბის მოსამსახურე ჭიპიკო რუსაძე, ერთი კვირის წინად ვორონეცოვის ძეგლთან რუსაძის სიძე პრაპ. გაჩეჩილაძე იყო მოკლეს. ეჭვია რომ ეს ორი მკვლელობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა პრაპ, აიკ მალიანცი მკვლელობისათვის. ქართულ ცხენოსან პოლკის ჯარისკაცი გოგიაშვილი რადგანაც თავის ცხენს კუდად ეკვეოდა. საავიაციო რაზმის ჯარისკაცი ურეგაშვილი თოფის გაყიდვისათვის.

ბოროტი განზრახვა ღამით ივლისის 30-ს ბოროტმომქმედებს განზრახვა ჰქონდათ დასცემოდნენ ბონების გამომცემელ ექსპედიციის დარაჯებს, დაუყონებლივ ეს გარნიზონის უფროსს აცნობეს: გარნიზონის უფროსმა საჩქაროდ გაგზავნა პოლუჩ. ნიკოლაძე ჯარისკაცებით და მილიციის უფროსებიც, რამოდენიმე საეჭვო პირი შეიპყრეს.

საშუალო სკოლების მასწავლებელთა კურსების გახსნა. გუშინ ნაშუადღევის 1 საათზე კადეტთა კორპუსის შენობაში გაიხსნა საშუალო სკოლების მასწავლებელთა კურსები. კურსები გახსნა და სიტყვით მიმართა განათლების მინისტრმა გ. ლასხიშვილმა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კურსების ხელმძღვანელმა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა. პირველი ლექცია გუშინვე წაიკითხა ტფილისის უნივერსიტეტის პროფესორმა გ. ახვლედიანმა. კურსებზე სულ 300 მსმენელი მასწავლებელია. მათ შორის 100 პროვინციებიდანაა ჩამოსული.

ქართულ სატენნიკო საზოგადოებაში. დღეს, 2 აგვისტოს საღ. 8 საათზე დანიშნულია კრება სამთო-საქიმიო სექციისა, რომელზედაც სამთო ინჟ. ივ. ყაფშიძე წაიკითხავს მოხსენებას: „ძირითადი დებულებანი სამთო კანონისა უკეთ სახელმწიფოებში“. დასწრება შეუძლიან ყველას, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს.

საქართველოს სომეხთა ეროვნული საბჭო შესდგა ტფილისში იმ წესით, რომელიც დაშნაკცაკანებმა შეიმუშავეს იმ პირობით, რომ საქართველოს სომეხთა ყრილობა მოწვეულ იქმნას არა უგვიანეს ენკენისთვისა.

ქალაქის ძოსამსახურეთა კავშირმა წინადადება შეიტანა სადაც ჯერ არს—ფულის მომატების მაგივრად პური გვაძლიეთ ოჯახებისათვის. ეს დასცემს სპეკულიაციას და არც ჯამაგირების ასე ხშირად მომატება იქნება საჭირო.

ივ. გომართელ ს ლექცია. ქართველი ექიმთა დავალებით ექ. ივანე გომართელი კვირას, 4 აგვისტოს, წაიკითხავს სახალხო სახლში (კიროჩნი ქ.) ლექციას ხოლერის შესახებ.

სახალხო მასწავლებელთა კურსები. აგვისტოს ორს პირველ გიმნაზიაში გაიმართება სახალხო მასწავლებელთა კურსები. პირველ ლექციას წაიკითხავს ...ლ. ბოცვაძე შემდეგის შინაარსით: საპედაგოგიო ფსიქოლოგიის აწინდელი მიმართულება, მისი შესწავლის საჭიროება; დღევანდელი სკოლის საერთო ნაკლი; აღზრდის მეცნიერების ორი გზა: ემპირიული და სპეკულიატიური; ადამიანის აღზრდა ძველის-ძველად; ეკონომიური პირობების შეცვლა ცხოვრების გაუმჯობესება; საზოგადოების დანაწილება; სკოლა და მასწავლებელი ძველად; სასწავლო წლები და პროგრამები; ემპირიული სისტემის ცუდი და კარგი მხარე; კომენიუსი, ლოკი, რუსსო, პესტალოცი და ფრებელი; ლაის და მეიმანის აზრი ემპირიულ სკოლის შესახებ. მეორე ლექციას წაიკითხავს დ. კარიჭაშვილი საქართველოს ისტორიიდან.

მისაბაძი მაგალითი. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ბიბლიოთეკას ლევან გალპერინმა შესწირა 7 სხვა და სხვა ძვირფასი წიგნი. ბროშურები და ჟურნალ-გაზეთები.

...ოფლად და ...ალაქად.

ოთელ...ვი.

ჰარბინიდან, აგვისტოს 2 ...ადიაობას თ...ოვის ...ბ...ბ...ბ...ბ ...ბ...ბ...ბ ...ბ...ბ...ბ

აღორძინებულ რესპუბლიკებს, ყოველ გვარი კავშირი მოსპობილი აქვთ, ამა თუ იმ მიზეზების მეოხებით. მაგრამ რაც შეეხება უკრაინის სახელმწიფოს, მის შესახებ მოგვდის უტყუარი, თუმცა არა ოფიციალური, ცნობები. მხოლოდ სამი დღეა, რაც ქ. კიევიდან ჩამოვიდა ქართული ეშელონი. უმრავლესობა ქარ. ჯარის კაცები იყვნენ (60 კ.—ინ) და რამოდენიმე ქარ. სტუდენტიც. ამ ეშელონთან ერთად ჩამოვიდა „კიევის ქართულ სამხედრო კომისარიატის“ წარმომადგენელი ნ. ბოკუჩავა, რომელმაც მრავალი ცნობები ჩამოიტანა როგორც ქართველების ყოფა-ცხოვრებაზე აგრედვე უკრაინის სახელმწიფოს ავ-კარგზე. აი რა ილაპარაკა. რაც თქვენ კიევიდან გამოემგზავრეთ, თუმცა არ გასულა დიდი დრო, მაგრამ უკრაინაში მაინც დიდი პოლიტიკურ ხასიათის ცვლილება მოხდა. დღითი-დღე გერმანელებისადმი უკმაყოფილობა უკრაინის მასაში იზრდება. გეტმან სკოროპადსკის რეჟიმი ხალხისათვის პირდაპირ აუტანელი შეიქნა, რის გამოც სოფლებში ამბოხება ხშირი მოვლენა გახდა. კიევის, ზვენიგოროდის და სხვა და სხვა მიმდინარეობაში სოფლელები იარაღით ეცემიან გერმანელებს და სასტიკად ებრძვიან. რასაკვირველია ამას გერმანელები ანგარიშს და დიდ ანგარიშს უწევენ და თავისდა საპასუხოდ მთელ სოფლებს ანადგურებენ. გერმანელების სრულიად არასფერს ეოიდებიან და რაცა სურთ იმასა სჩადიან. დამშლელი ვინ არის?! გეტმანი სკოროპადსკი თავისთავად არაფერს წარმოადგენს. იგი მხოლოდ სათამაშო ბურთია გერმანიის მთავრობის ხელში და უმნიშვნელო, თუმცა „ბრეკვიალა“, ნივთი უკრაინის სახელმწიფოში. რასაც გერმანელები უბრძანებენ გეტმანი მხოლოდ იმას ასრულებს. როგორც გეტმანი, აგრედვე მისი მინისტრთა კაბინეთი მინ. ლიზგუბის მეთაურობით, აღჭურვილია მხოლოდ ხალხის უნდობლობით და ამიტომაც შესაძლებელია ამ მოკლე ხანში იგი სრულიად გადადგეს. ამის ნიშნები უკვე იყო. პროვოკაციას იქაც დიდი გასავალი აქვს. ამას ხელს უწყობენ უკრაინის მანტიაში შემოსილი რუსის ხულიგნები, მაგ. გეტმანი, მისი „შტაბი“ და მოხელეები. ნამდვილი უკრაინელები ამისთანა მთავრობის წყალობით ძალიან დაჩაგრულნი არიან. და რასაკვირველია დღევანდელ პირობებში ბუნებრივია..,

ამას წინად მრავალი მუშები იყვნენ დათხოვნილი სამსახურიდან სხვა და სხვა მიზეზებით. მარტო ეკატერინოსლავის დეპოდან 10 ათასი მუშა დაითხოვეს „პოლიტიკურის მოსაზრებით“. ამიტომ, დღეს მთელი უკრაინის რკინის გზის მოსამსახურეებმა მოახდინეს საერთო გაფიცვა და ეკონომიური მოთხოვნილებები წარმოადგინეს. მაგრამ ეს გაფიცვა უფრო პოლიტიკური ხასიათის პროტესტი იყო გეტმანის მიერ დაწესებულ რეპრესიებზე, თუმც ჩუმი და გაუბედავი. ამის გამო გერმანელებმა გამოსცეს ასეთი ბრძანება; ვინც ხვალ დილით 6 საათიდან სამუშაოდ არ გამოვა იგი სამსახურიდან გამორიცხული იქნება და 48 ს. იგი ვალდებულია უკრაინის ტერიტორია დასტოვოს. ამ ბრძანების შეუსრულებლობას მოსდევს სასტიკი დასჯა... გაუქმებულია 8 ს. სამუშაო დღე და საერთოდ უკრაინამ ისე იცვალა ფერი, რომ რევოლიუციის სტიქიის გავლენასაც კი ველარ შეამჩნევთ

რაც შეეხება ქართველ კოლონიას უნდა გითხრათ, რომ მასაც აქვს და სდუღს თავისებური ცხოვრება. მე კოლონიამ დამავალა ზოგი ერთ საკითხების გამორკვევა და უმთავრესად კი საპატ. კომისარიატის მდგომარეობის შესახებ, მე დავალებული მაქვს აგრედვე გავაცნო მთავრობას ჩვენი მდგომარეობა და უმთავრესად ყოფილ კომისარ დ. ვაჩეიშვილის მოქმედებას, რომელსაც ქ. კიევის თვითმართველობისაგან მიუღია 400,000 ძ. და არავითარი ანგარიშები კი მის შესახებ კომისარიატში არ მოიხახება. ეს ჩვენ ბოლო დროს გავიგეთ, სრულიად კეოძო შემთხვევით. მრავალი ავანტიურული ნაბიჯები გადაუდგამს დ ვაჩეიშვილს. ეს მთელმა კიევის ხტუდენტობამ და სხვ. კარგად იციან. როგორც გავიგე ის კი დღეს რწმუნებულის თანაშემწედ დანიშნულია ისევ კიევში.. არ ვიცი ეხლა ბაღა მეთაქმის. რასაკვირველია, რომ ყველგან მაინც და მაინც ს. დ. ინიშნებიან, და ეს არ კმარა. დანიშნულები კიდევ ს. დ. თავს უყრიან და ადგილებს უოიგებენ. ძალიან სამწუხაროა და ეს უნდა ყველამ შევიგნოთ.. ცხრვრება გაცილებით იაფია.

მაგალითად გირვანქა პური ბარათით ღირს 40 კ. ხოლო უბარათოდ თეთრი პური ფასობს 1 მ. 70 კ. სურსათი და სანოვაგე იქ საკმაოდ არის და ვისაც ფული აქვს ის ყოველივეს შოულობს. თვით ქ. კიევში სიცოცხლე სდუღს. ყველა ბაღები სავსეა ხალხით.. უკანასკნელ დღეებში იქ საშინელი ამბავი მოხდა. ვიღაც პროვოკატორებმა ააფეთქეს საარტილერიო მასალების საწყობები და დიდი ზიანი მიაყენეს ქალაქს. ქალაქის მეორე მხარეს ცეცხლი წაეკიდა შენობებს და შედეგი რაღაც წარმოუდგენელი იყო. ბევრია დაჭრილ-დახოცილი. ამ უბედურობამ არც ერთი ქართველი არ იმსხვერპლა. ამით, მოკლედ რომ აღვნუსხო, დაათავა თავისი ინფორმაცია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ვისიც ჯერ არს დ. ვაჩეიშვილის მოქმედებას. მას უმრავლესობა, განურჩევლად მიმართულებისა, არ ენდობა.

როგორც წინა წერილში ვსთქვი, ორ ამხანაგს დ. ჩ და მ. ტ. ფრაქციებისგან და შემდეგ მთელ კოლონიისაგან ჰქონდათ დავალება, რომ დაწვრილებით მთავრობისათვის გაეცნოთ საერთოდ კიევის ქართ. ცხოვრება და კერძოდ დ. ვაჩეიშვილის მოქმედება. ძალიან მიკვირს რადა სდუმან ამხანაგები! ..

გიორგი ნათაძე

შეთანხმება საქართველოს და თერგის ოლქს შუა.

ივლისის 25-ს 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ივანე ლორთქიფანიძის, გერასიმე მახარაძის და ვლადიმერ ჯუღელის სახით, რომელთაც წარმოადგინეს მანდატი ამა წლის ივლისის 19-ის თარიღით, № 8176 და თერგის ოლქის სახალხო საბჭოს წარმომადგენელნი ფრიც ბულე, იაკუბ არსანოვი და გაპურ არხიევი, რომელთაც წარმოადგინეს მანდატი ამა წლის ივლისის 25 თარიღით № 1628, განვიხილეთ რა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ულტიმატუმი, რომელიც იყო მიღებული ივლისის 23-ს 1918 წ. № 33, შემდეგი შეთანხმება მოხდა.

1. საქართველოს რესპუბლიკა და თერგის სახალხო კომისართა საბჭო აძვენ ერთმანეთს სიტყვას, რომ მათ არა აქვთ არავითარი აგრესიული განზრახვანი ურთ-ერთის წინააღმდეგ.

2. რადგანაც თერგის სახალხო კომისართა საბჭომ უკვე გაანთავისუფლა ამბოხების დროს ტყვედ ჩავარდნილი საქართველოს მოქალაქენი—კითხვა ტყვეების შესახებ ჩაითვალოს გადაჭრილად.

3. თერგის სახალხო საბჭო იხმარს ყოველ ძალ-ღონეს და სიტყვას იძლევა, რომ არავითარი შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის მიმართ აგრესიულ მიზნებით, ვისი ხელმძღვანელობითაც არ უნდა იყოს ისინი, არ იქნებიან გაშვებული საქ. რესპუბლიკის სამძღვრებისკენ; თავის მხრივ საქ. რესპუბლიკა ვალად რიცხავს თავს 26 ივლისისთვის შუადღემდე თავის ჯარს, რომელიც ეხლა სდგას ლიხსში, დაახევინოს თავის ტერიტორიამდე. ✓

4. ამის გამოსარკვევად თუ რამდენი ზარალი მააყენეს საქართველოს რესპუბლიკას შეიარაღებულმა ჯგუფებმა, რომლებიც თერგის ოლქიდან წამოვიდნენ სდგება შერეული კომისია პარიტეტულ პრინციპზე ერთის მხრივ საქ. რესპუბლიკის წარმომადგენელთა და მეორეს მხრივ თერგის ოლქის სახალხო კომისართა წარმომადგენელთაგან, და თანაც ეს უკანასკნელნი იღებენ ყოველ ღონეს აღმოაჩინონ და დაიბრუნონ დატაცებული ქონება, თუ ასეთი იქნება თერგის ოლქში.

5. ორივე მხარე მოვალეა უზრუნველ ჰყოს ყოველგვარი ხიფათისაგან საქართველოს სამხედრო გზა თავთავიანთ ტერიტორიაზე: საქართველოს რესპუბლიკა იცავს გზას ყოველგვარ ტაცებისაგან თავის საზღვრამდე. ამ საზღვრიდან კავკავამდე კი გზას იცავს თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭო.

6. 7 ივნისს, 1918 წ. ხელშეკრულების ძალით საქართველოს მიერ ნაყიდი სურსათი, თერგის ოლქის საბჭო ვალად რაცხს თავს ან დაუბრუნოს უკან რესპუბლიკას ან და აუნაზღაუროს ფულით. შემდეგი ურთიერთობანი საქონლის გაცვლის შესახებ უნდა გამორკვეს განსაკუთრებულ თათბირზე ორივე დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენელთაგან.

7. კომისია, რომელიც მოხსენებულია მე-4-ში, §-ში, უნდა შესდგეს ამა წლის ივლისის 30-ს ქ. კავკავში.

ხელს აწერენ: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები: გზათა და სასურსათო საქმეთა მინისტრი ლორთქიფანიძე. შინ.-საქმ. მინიტრის ამხანაგი გ. მახარაძე, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე ვლ. ჯუღელი, თერგის ოლქის სახალხო საბჭოს წარმომადგენლები: ფ. ბულლე, ი. არსანოვი, გ. არხიევი.

სადგური ძველი ლარსი, თერგის ოლქი.

მოწერილი ამბავი

სოფ. კავთისხევი (გორის მაზრა) ამ რამდენისამე ხნის წინად სოფ კავთისხევში მკვლელობა მოხდა მოკლეს სრულიად უდანაშაულო კაცი ზაქარია შატბერიშვილი. სოფლელები ძალიან შეშფოთებულნი იყვნენ ამ მკვლელობით, მოითხოვდნენ მკვლელის დასჯას, მაგრამ რაღაც უცნაურობით არამც თუ მკვლელი არ დაისაჯა, იგი კომისრადაც კი იქმნა არჩეული. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქცია ახალ-ქალაქის რაიონის კომისარმა ლაშქარაშვილმა და მკვლელები დაატუსაღა, დაატუსაღა დიდის ტაქტით და წანდახედულად, ისე რომ არავითარ ექსცესს ადგილი არა ჰქონია. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ლაშქარიშვილი ძალიან ენერგიულად იქცევა და ხალხის ნდობა და პატივისცემაც დაიმსახურა. დღემდის თუ ხალხი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა რაიონის კომისარს, ახლა ასობით მიდიან ლაშქარიშვილთან სხვა და სხვა საქმეების გამო, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელთან. ეს ძველი რევოლიუციონერი და ჭეშმარიტი რესპუბლიკანელი დარაჯად უდგას რევოლიუციას და მტკიცედ იცავს საქართველოს მთავრობის პრესტიჟს. სიმტკიცესთან ერთად მას დიდი ტაქტიც ამოაჩნდა და სწორედ ამიტომაც ძალიან მალე ხალხის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

მაგრამ საუბედუროდ ამ მხნე ადმინისტრატორას წინააღმდეგ უკვე დაიწყეს ინტრიგები რაიონის ბნელმა ძალებმა, რომელთაც ლაშქარიშვილი რისხვად ევლინება ხოლმე. აშკარად გამოსვლას ეს ბნელი ძალები ვერა ჰბედავენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად, სადაც კი ხელი მიუწვდებათ ცდილობენ მას სახელი გაუტეხონ, მაგრამ ხალხის ფართო მასა მას ნდობით ეკიდება და იმედია ამ ნდობით იგი ბოლოს მოუღებს ბნელი ძალების თარეშს ახალ-ქალაქის რაიონში.

სტუმარი.

სოფ. ზემო ავჭალა (ტფილისის მაზრა). ქართული სოფელი დღეს რომ გონებრივად დაქვეითებულია და უმეცრების მორევში ცურავს, ყველასათვის ცხადია და ამაზე წერა თითქმის ზედ მეტია. ამ საზოგადო სენიდან გამონაკლის არც სოფ. ზემო ავჭალა შეადგენს. თუმცა ის ტფილისზე ძლიერ ახლოა, მაგრამ სწავლა განათლებით და შეგნებით ისე უკან ჩამორჩენილია, როგორც სხვა სოფელი ჩვენი ქვეყნის განაპირა და მივარდნილ კუთხისა. ამიტომ ადგილობრივ ინტელიგენტთა სულ პატარა წრემ მიზნად დაისახა, როგორმე ეწამლა მისთვის. წრე შეუდგა საღსრის გამონახვას, რომ მით რაიმე კულტურული დაწესებულება დაეარსებინა. მართლაც ამ ორიოდ წლის განმავლობაში მან წარმოდგენები, და სალიტერატურო საღამოების გამართვა იწყო, რაიცა კარგ შემოსავალს იძლეოდა. ბოლო დროს წრეს ახალი წევრები შეემატა, გაიზარდა, წარმოდგენების მართვას მოუხშირა და შემოსავალმაც საგრძნობლად იმატა. იგრძნო რა თავისი თავი ნივთიერად ცოტათი მოღონიერებულად, წრემ ჯერ სოფელს მიმართა, აუწერა მას ყველაფერში მისი უკანჩამორჩენილობა, დაუსახელა ამ სენის თავიდან ასაცილებელი საშუალება, გააცნო წარმოდგენების შემოსავლის ანგარიში და ბოლოს სთხოვა გამგეობის არჩევა, რომელსაც უნდა ეკისრნა ამ კეთილის საქმის გაძღოლა და შეგროვილი ფულებისგან მიეცა შესაფერისი დანიშნულება. ხალხმა ყოველივე გულდასმით მოისმინა და მადლობის გადახდის შემდეგ აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისიაც. გამგეობა უკვე შეუდგა თავის საქმის მოგვარებას და ჯერ-ჯერობით დაარსა სახალხო უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო, გადასწყვიტა დაარსოს ხალხოლო სათეატრო და სახალხო კითხვების სექციები. ყოველ ეს ამ ს დროზე და პირნათლად სისრულეში მოსაყვან საშუალებად გამგეობამ სცნო წარმოდგენების, საღამოების, „ფინჯან ჩაის“ გამართვა, საწევრო გადასახადი, კერძო შემოწირულება. გამგეობა სრული დაიმედებულია, რომ საზოგადოება ამ სიმპატიურ საქმეს თანაგრძნობით შეხვდება და გაუწევს მას ყოველგვარ დახმარებას ხნეობრივად და ნივთიერად, ფულით და წიგნებით. ამ თავით კი ძლიერ საჭიროა ეურნალ-გაზეთები.

მისამართი: სად ავჭალა: უ. ვერა სტეფანეს ასულს ბასტამოვს.

გამგეობის მონდობილობით: **ვერა ბასტამოვის ასული.**

ღია წერილი

ტფილისის განსაკუთრებულის რაზმის უფროსს პოლკოვნიკ ვ. სო. ხარაძეს.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე თქვენ, ბატონო პოლკოვნიკო ხარაძე, ჩემს საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევით რაზმში და ცდილობთ თურმე ჩემი პრესტიჟის დაცემა, როგორც ხალხის აგრედვე მთავრობის თვალში. რა არის მიზეზი არ ვიცი? შეიძლება დამნაშავე ვიყო, მაგრამ რაც შეეხება ჯარის კაცების ჩემს საწინააღმდეგოდ ამხედრებას, ეს არ შეშვენის ისიც დემოკრატიულ რესპუბლიკის აფიცერს. თქვენ თურმე ბრალსა მდებთ, ვითომც მე რაზმში მხედრებისთვის ფული შემეპამოს, მე თუმცა მემართა ფული მხედრების მიხეილ მაღრაძის 50 მან., ჰლატონ კვირიკაშვილის 100 მან. დევდარიანის 6 მ. მე ამ მხედრებს ყველას გამოუგზავნე ფული ფოსტით და საჭირო დოკუმენტები ხელთ მაქვს. ხოლო რაც შეეხება მას რომ ზემოხსენებული მხედრები ტფილისშივე ვერ დავაკმაყოფილე, საქმე შემდეგში იყო, მე მივიღე დანიშვნა მოსაზღვრე პოლკში, მოგშართეთ თქვენ თხოვნით რომ ხვედრი ჯამაგირი მოგეცათ, მაგრამ თქვენ უარით გამომისტუმრეთ.

თქვენივე მდგომი აგრეთვე ბრალს, როგორც გავიგე, ვითომც სახაზინო ნივთები მიმეთვისებინოს. ტყუილია ბატონო პოლკოვნიკო. მე ყველა ნივთები რაზმიდან „ტრეფოლანიით“ მაქვს გამოტანილი სამეურნეო ნაწილის უფროსის ნებართვით და სახაზინო ფასებში. როგორც სჩანს, თქვენ შეცდომაში შეგიყვანეთ მხედარმა სანდრო რომანის ძე ბორგაძემ, რომელსაც ჩემთან კერძო ინტერესები აქვს და ცდილობს ჩემი პრესტიჟის დაცემას. თუ საჭირო იქნება, მე მზადა ვარ გამოგყვეთ სამედიატორო სასამართლოში და ჩემი სიმართლე დავამტკიცო, ოღონდ თქვენ გთხოვთ მეტ დაკვირებას ერიდეთ ჩემს ლანძღვას ისე, როგორც გამლანძღეთ პორუჩიკ ალ. კალანდაძესთან.

პატივისცემით თქვენგან შეურაცხყოფილი შტაბს კაპიტანი **ალექსანდრე ბორგაძე.**

ღია წერილი მოქ. აკაკი ამაღლობელს.

თქვენ, მოქ. აკაკი, ხმეს ავრცელებთ, თითქოს არზრუმის რაიონში სამუშაოს ანგარიშს არ გისწორებდეთ და როგორც ამით, ისე სხვა შეუსაბამო ბრალდებებით და ლანძღვა-გინებით, ჩემს სახელს ჩირქსა სცხებთ. ამის გამო გიწევთ სამედიატორო სამართალში და მედიატორებად ჩემის მხრით ვასახელებ ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჯაყელს და რომანოზ სიმონის ძე ანჯაფარიძეს.

გთხოვთ 10 დღის განმავლობაში თქვენაც დაასახელოთ მედიატორები.

ამასთანავე წინადადებას ვიძლევი გამტყუნებულმა მხარემ გადიხადოს 500 მან. ქართულ უნივერსიტეტის საარგებლოდ.

ამბროსი გეწაძე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

იყიდება სასწრაფოდ სახლი 12 (სამზარეულოთი დ სხვა საჭირო სადგომებით), ბეტად ჯანსაღ ადგილას, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მახლობლად. იქვე იყიდება ბუხის შკაფი (ბუფეტი). ავლაბარი, მატყოფის ქ. № 22. 798

ექიმი ი. დ. ჯაფარიძე შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს საღამოს 5—7 ს მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

ექიმი ზ. მ. მუხაძე კოჯორში გაემგზავრა და აქ ავადმყოფების მიღება 1 აგვისტომდე შეჩერებულია 1030

ექიმი ე. ლ. შალამბერიძე იღებს ხაბეგიოა და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი დ. ზარაფ[illegible] [illegible] ლებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის № 7.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი [illegible] ნება 606—914) და კანის ავადმყოფ[illegible] დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—[illegible] ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით [illegible] ლად დილით. მიხაილოვის შესახვევი ტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი იღებს ავ[illegible] მყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible]ლანოვის ქ. № 6.

ექიმი ქბილისა კონსტანტინე არ[illegible] ზიანი განაახლა ავადმყოფ[illegible] მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა.

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქაბით და სხვ. შინაგან სნეულებით ავ[illegible] მყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელ[illegible]ქტრიზაცია და ძასსაჟი. მისამართი ოს[illegible]ვის ქ. № 11.

ექიმი ა. ტუეშელაშვილი ღებულ[illegible] ავადმყოფებს ვენერიული, [illegible]რდე და სასქესე მილის სნეულებანი, სი[illegible]ლისი (606 და 914) შეშხაპუნება). [illegible] მოობით 5½—7 საათ. ყოველ ღდ[illegible] კვირიოა კერძო საძეურნალო [illegible] პროსპექტი № 167.

ექიმი ლ. ვ. ჯაჯანიშვილი [illegible] შინაგან და ბავშვთა სნეულ[illegible] ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის [illegible] საღამოს 5—7 საათამდე, გუნ[illegible] № 41. ტელეფ. 14—09.

ექიმი პავლე არდაზიანი [illegible] იღებს ბავშვთა და შინა[illegible] მყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. [illegible]ელიქოვის ქ. 12, 9 უბანი.

ექიმი ზ. ა. მელაძე მიიღებ[illegible] გან და ბავშვთა სნეულებებ[illegible] მყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 ს[illegible] დე, ძიხვილის პროსპექტი № 117.

კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილ[illegible] 10 საათიდან. ძიხვილის პროსპექტი, 167. 7[illegible]

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნ[illegible]ვერსიტეტისა ნ. ლ. ბურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვ[illegible]ბისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულ[illegible]ბანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვი[illegible] აფთიაქის გვერდით. 62[illegible]

თვალის სამკურნალო მუდმივი საწ[illegible]ლით ექიმ დოქტორისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალ[illegible]კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღ[illegible]ბიან დილის 9—1 საათამდე და საღამ[illegible] 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ეპ[illegible]ლოს კინოთეატრის მახლობლად). [illegible] და საოპერაციო ავადმყოფები სრული პა[illegible]სიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძ[illegible] სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ[illegible] დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ჭირ[illegible]ოგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ[illegible]

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალების [illegible] საშარდისა.

ბ. გ. აგასაროვი: 9½—2 ს. ბავშ[illegible] შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავ[illegible] მყოფებს 11½ ს.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10 12 ს. ყურ[illegible] ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთ[illegible] ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. [illegible]ნაგანი.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავ[illegible] მყოფობანი და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთ[illegible] უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაც[illegible] მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიც[illegible] დოქტორი **ა. ნავასარდიანი.** 101[illegible]

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 8 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 50 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 50 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.